„ქუჩაში ჩასთავისუფლებელა—მუშათა ხელმე“

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 2 მან.

№ 38 სამშაბათი 12 მარტიაშრ. 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 8 მან., ცალკე ნომერი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

სტამბის ტექნიკურ დაბრკოლების გამო, ჩვენი გაზეთი კვირას ვერ მოხერხდა გამოსულიყო, გამოდის დღეს, სამშაბათს 12 აგვისტოს.

დედა-ქალაქი მარტიამრბისთვის 3

ჩვენი მუშაობა: უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი მიმართულ ებ ა უდიდეს დაბრკოლებათა გადალახვით ცდილობს სათანადო ადგილი მოიპოოს საქართველოს მუშა-მშრომელთა შორის! არა ხმების მიღებისათვის, ან საარჩევნო კომპანიებისათვის, მხოლოდ დასახული უწმინდესი იდეალის განხორციელებისათვის მოუწოდებდა და მოუწოდებდა და მოუწოდებს „ახალი ნაკადი“ მუშა ხალხს, რომელიც თუ კი იგი შეიჭურვება ნამდვილი შეგნებითა და ბრძოლის სურვილით, შესძლებს გასწმინდოს საშინელი ატმოსფერა კაცთ სიძულვილისა, სიღატაკისა, მონობისა და უბედურებისა და დაამყაროს სანუკვარი წესწყობილება. ვერ ვიტყვით, რომ დიდი გამოძახილი გვეპოვოს მათ წრეში, ჩვენ ვიცით, ეს განცხადება პოლიტიკურ-სპეციალისტურ ჯგუფებში გაწვრთნილ გეშეფ-მახერებს დაცინვის გუნებას დააყენებს და კბენის საღერღელს აუშლის, მაგრამ ისინი, ვინც არ მოერიდა ზურგზე აეკიდა მძიმე. მაგრამ წმინდა ტვირთი, ჩვეულებრივის სიმშვიდითა და მოთმინებით შეხვდებიან ახალ გამოსვლებსაც.

დღეს, როდესაც უკვე აშკარად გაისმის რეაქციის ჰანგები, ეჭვი არ არის, ბევრი კარიერის მაძიებელი, ამ თავითვე ემზადება შესაფერი „სტრატეგიისათვის“ რა გაეწყობა!

ყოველივე ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, ჩვენ გულს გვიკლავს ის გარემოება, რომ საქართველოს მუშა ხალხიც სავსებით ჩაება პოლიტიკური ბრძოლის ოროომ-ტრიალში და ლამის დაივიწყოს თვისი კლასობრივი პოზიცია. ჩვენ გვაწუხებს ის, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას შეფარებია და ერთი მეორის გაბიაბრუებას ესწრაფვის. ჩვენ სულს გვიშფოთებს ის გარემოება, რომ მუშათა წრეებიდანაც ბევრი დაავადმყოფდა სპეკულიაციისა და მტაცებლობის ზნე-ჩვეულებით, რასაკვირველია, ყოველივე ამას თვისი მიზეზები აქვს, მაგრამ ჩვენ არ გვინდა შეურიგდეთ ი ას, რომ დღეს სოციალურ რევოლიუციის ხანაში, როდესაც შეიძლება მასზე უკანასკნელი საშიშარი თავდასხმა მზადდება; მუშათა წრეში არ არის თანხმობა, არ არის სათანადო კლასობრივი შემეცნება...

ჩვენ გვინდა მთელის არსებით ვებრძოლოთ ასეთ მოვლენას და ხელი შეუწყოთ მუშათა ძლიერი სოციალისტური ფრონტის შექმნას.

მაგრამ თანდათან გვიჭირს გადავლახოთ დაბრკოლებები და ჩვეულებრივი სიმტკიცით ვემსახუროთ დასახულ მიზანს. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამ ხანაგი მუშები დაეხმარებიან ჩვენს გაზეთს ზნეობრივად და მატერიალურად, ხელს შეუწყობენ ჩვენს მუშაობას და მით საშუალებას მოგვცემენ გავჩალხოთ ის ახალი გზა, რომელზედაც უნდა ვიდოდეს ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხი.. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ყველა ის, ვისთვისაც საყვარელი და ძვირფასია კაცობრიობის განთავისუფლება გააჩაღებს ჩვენი პროგრამის მიხედვით მუშაობას და გაამხნევებს იმ წრეს, რომელსაც გაზეთის დაბეჭდვაც კი ერთი სტამბიდან მეორეში რხდება..,

———

საერთაშორისო მდგომარეობა ვერსალის კონფერენციამ აიძულა უნგრეთის ხალხი გადაეყენებია ბელა-კუნის მთავრობა და ახალი შეედგინა. თითქოს გაიმარჯვეს კიდეც, მაგრამ საქმე მაინც გართულდა: რუმინიის ჯარი ბუდაპეშტში შევიდა და არც თუ ადვილად აპირებს ოთხთა საბჭოს ბრძანების შესრულებას.

საერთოდ ევროპაში მდგომარეობა კიდევ გართულებულია. ამერიკასა და იაპონის შორის უთანხმოება ძლიერდება შანდუნის გამო, თვით ინგლისის ოფიციოზი იძულებული შეიქნა, აღიარებია: მოკავშირეები იყვენო. ვისაც აქვს უნარი მდგომარეობის გაგებისა, იგი ნათლად დაინახავს. რომ რომ იმპერიალისტურ-ბურჟუაზიულ ევროპას არ ძალუძს მშვიდობიანობა მიანიჭოს კაცობრიობას.

მდგომარეობა გართულდა ამიერ-კავკასიაშიც. მუსულმანესმხეებს ებრძვიან და ამ ნიადაგზე შესაძლებელია დიდი უბედურება დატრიალდეს, თუ საქმეში არ ჩაერია ისევ მშრომელი ხალხი და დროზე არ შეაჩერა ძმათა შორის სისხლის ღვრა..

———

მუშავლის ფიქრებში.

1.

რევოლიუციის მტერთა რეაქციონური მოძრაობა თანდისთან ძლიერდება. რაც დრო გადის შავრაზმელთა ელემენტები უფრო ირაზმებიან; დღემდე მიყუჩებული ბიუროკრატიზმის პირმშო შვილები წელში სწორდებიან და განთავისუფლებულ ქვეყნიერებას ჩუმი პოლიციით, ჟანდარმერიით და დამსჯელი რაზმებით ემუქრებიან. შავრაზმელთა ბელადი გენ. დენიკინი კარგა ღრმად შეიჭრა რევოლიუციონურ „სოვდეპიაში“ და დღითიდღე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გამოცხადებისათვის ემზადება. ვის დარჩება გამარჯვება ამის თქმა ძნელია. ჩვენ არა გვაქვს სწორი ცნობები არც დენიკინის მდგომარეობის და მის ძალების შესახებ და არც ლენინ-ტროცკის ძლიერებისა—ამიტომ თუ ვისკენ გადიხრება გამარჯვების სასწორი ამის გარკვეულად გამოცნობა არც ისე ადვილია. უფრო კი მოსალოდნელია რომ დენიკინ კოლჩაკის დღე დაადგება და დღევანდელი მისი ნახევრად მაინც გამარჯვება უბრალო დემონსტრაციად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც გამარჯვების უკანასკნელ სიტყვისთვის ძალიან პატარა მნიშვნელობა აქვს. ამას გვაფიქრებინებს მოპირდაპირეთა ძალების შემადგენლობა და ის იდეები, რომლითაც იგინი ხელმძღვანელობენ. ლენინ-ტროცკი ემყარებიან მშრომელ ხალხის მასსას, გაჭირვებულ მუშებს და დამონავებულ გლეხკაცობას, რომლებიც სიცოცხლისთვის იბრძვიან, რომელთათვისაც დამარცხება სიკვდილს უდრის; დენიკინი კი ემყარება ისეთ ძალებს. რომელთაც უფრო ავანტიურული ფსიხიკა აქვთ, რომლებიც იბრძვიან არა არსებობისათვის, არამედ შეურაცხყოფილ პატივმოყვარეობის აღსადგენად. ამისდამიხედვით მოპირდაპირეთა სახელმძღვანელო იდეაც სხვადასხვანაირია. პირველნი იბრძვიან თავისუფლების გამტკიცებისთვის, ეკონომიურ კეთილდღეობის თანასწორულ ნიადაგზე დამყარებისათვის, და ყოველი ადამიანის პიროვნების ღირსებისთვის; მეორეთა მიზანია მცირე ჯგუფის გაბატონება უმრავლესობაზედ; სხვისა ნაშრომზე ცხოვრება და გაქელვა ყველა მათი ვინც განსაკუთრებულ სოციალურ წრეს არ ეკუთვნის.

ეს მოსაზრება გვაფიქრებს, რომ დენიკინს დღეს თუ არა ხვალ კოლჩაკის ბედი გაუმეორდება. მაგრამ ასეთი კერძოობით გამარჯვებანი კიდევ არ არის საერთო გამარჯვების ნიშანი. თუ ხალხთა მთავრობა ჯერ კიდევ შეურყეველია ეს იმიტომ რომ ფართო მასსას რევოლიუციონური მოძრაობა ჯერ არ მოსწყენია, ხალხში ჯერ კიდევ არის ხალისი და იმედი მომავლისა. ხალხი შეიძლება მოიქანცოს, ბრძოლის უნარი დაეკარგოს, და რევოლიუციასაც უკანასკნელი დღეები დაუდგეს. ეს სულ ადვილი მოსალოდნელია ვინაიდან დღემდე მშრომელი მასსა რევოლიუციაში მონაწილეობას იღებს ფიზიკით და არა ინტელექტით, მას იყენებენ მხოლოდ როგორც ბრძოლის მასალას, რომელსაც ვისაც როგორ სურს ისე გამოიყენებს. ჩვენ ამ რევოლიუციას უყურებდით როგორც მსოფლიო სოციალურ რევოლიუციის დასაწყის. როგორც ასეთისთვის ჩვენს მიზანს შეადგენდა გაერთიანება მშრომელ გლეხკაცობისა და პროლეტარიატისა რათა შექმნილიყო მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი და ორივენი ხელიხელ გადაკიდულნი ერთი მიზნისკენ წარსულიყვნენ—კაპიტალისტურ ურთიერთობის გარდაქმნისკენ სამართლის და თანასწორობის ნიადაგზე. ჩვენი ვფიქრობდით რომ სოციალისტურ ნიადაგზე გატარებული აგრარული რეფორმაა ხელს შეუწყობდა სოფლებში სოციალისტურ აზრების შეთვისებას გლეხკაცობის მიერ. მიწის სოციალიზაცია უნდა შექმნილიყო ეკონომიურ ბაზად რომელზედაც მთელი სოციალური მოძრაობა დამყარდებოდა. წვრილი მესაკუთრეც კერძო საკუთრების ფანატიზმს ჩამოშორებული დაინახავდა რა ადამიანთა შორის მატერიალურ დამოკიდებულებათა უსამართლობას ადვილად გახდებოდა სოციალისტი და საიმედო ელემენტად გადაიქცეოდა რევოლიუციონურ მოძრაობისთვის. მაშინ რასაკვირველია არავითარი საფრთხე რევოლიუციისთვის საშიში არ იქნებოდა თვით ხალხის მასსა გადაიქცეოდა თავის ინტერესებისვე დამცველად. სამწუხაროდ ასე არ მომხდარა არც რუსეთში და არც საქართველოში. ორგანვე ის პარტიები, რომელთაც ჩაუვარდათ პოლიტიკური მმართველობა ხელში ძალაუფლების ჯეროვნად გამოყენებას გაერთვნენ და სოციალისტური რეფორმები სულ მიივიწყეს. ამან წარმოშვა უდიდესი საფრთხე რევოლიუციისთვის, რომელიც დენიკინზეაც და კოლჩაკზეაც უფრო საშიში და დამაფიქრებელია, ეს საფრთხე არის გლეხკაცობის გულგრილობა და უარყოფითი შეხედულება რევოლიუციაზე. მართლაც სოფლის მასსამ დაინახა რომ რევოლიუციამ მისი მდგომარეობა არსებითად არ შისცვალა, ის ერთნაირად სცხოვრობდა როგორც ძველი წყობილების დროს ისე ახლა ამისათვისაც გლეხკაცობა სრულებით არა სთვლის საჭიროდ იბრძოლოს ახალი წყობილების განსამტკიცებლადა ასეთ ინდიფერენტიზმს შეუძლიან დაღუპოს რევოლიუციაც და მისი მონაპოვარიც. საზოგადოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ამ საფრთხეს უფრო ართულებს პოლიტიკური მდგომარეობა. მმართველი პარტიები აქ გაიტაცა სახელმწიფოების და მართვაგამგეობის მოწყობამ და მოღვაწეობაში სოციალისტურ რეფორმათა განხორციელებისთვის ბრძოლამ მეორე ხარისხოვანი ადგილი დიჭირა, ისეთი პირობების შექმნა კი - სადაც შეიძლება მოგვეცემა პოლიტიკურ და მატერიალურ ურთიერთობათა გარდაქმნა მოვახდინოთ სამართლის, ერთობის და თანასწორობის ნიადაგზე,—არის უდიდესი მიზანი თანამედროვე ისტორიული მომენტისა, პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ წესძლეს ასეთი პირობების შექმნა; იგინი მუშათა მოძრაობისთვის უვარგისი გამოდგნენ, არც ერთმა სოციალისტურმა თუ არა სოციალისტურმა პარტიამ მუშათა მოძრაობაშა ვერაფერი შეიტანა.

ასეთ პირობებში რა უნდა ჰქნას მშრომელმა მასსამ—პასუხი ერთია: უნდა ახალი გეზი გამონახოს; პოლიტიკურ პარტიებს დაანებოს თავი, რათა მათ „თვითონვე დამარხონ თავიანთი მკვდარი“ და თავისი პოლიტიკური და მატერიალური განთავისუფლებისთვის თვითონვე იზრუნონ. რა გზით უნდა წავიდეს მშრომელი მასსა ამ მიზნისკენ. ამაზე შემდეგ.

როლანდი.

სადღეისო მუსაიფი.

4.

დასკვნა. ჩვენ გავითვალისწინეთ და მკითხველს ნათლად გადვუშალეთ ის ლოგიკური საბუთიანობა, რომელსაც იძლევა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება. მკითხველს ისიც დავანახვეთ, რომ ამ მოძღვრების ძირითადი მოტივი გვაიძულებს, მტკიცეთ და ურყეველათ მივიღოთ ის ბეჯითი აზრი, რომ დღეს მართლაც წარმოებს ცხოვრების სინამდვილეში სოციალური რევოლიუციის დასაწყისი.

თუ მკითხველს ეს ნათლათა და გარკვევით დავანახვეთ, მაშინ იგი ვალდებული და იძულებულია, დაგვეთანხმოს, რომ ყოველი პატიოსნისა და კეთილ-სინდისიერი მოღვაწის მოვალეობაა, დღეს ისე ამოქმედეს და ამუშავდეს, რომ თავისი ძა-

ლა, თავისი ცოდნა და შეგნება, თავისი გულწრფელი გულის თქმა და ამ დიად საქმეს მოახმაროს, ამ საქმის გამარჯვებას შეუწყოს ხელი ასე კი ამიტომ უნდა მოიქცეს, რომ სხვა გვარი იმის საქციელი ვნებასა და ზიანს მოუტანს დღევანდელი დღის დიდს საისტორიო მოვლენას: იგი ნებსით თუ უნებლიეთ ხელს შეუწყობს ამ საქმის საბედისწერო მარცხს, ისეთ მარცხს, რომელიც, სამუდამოთ თუ არა, ძალიან დიდი ხნით მაინც, დაასამარებს სანუკველსა და და სასიცოცხლო მისწრაფებას მაშვრალებისასა და აბუჩათ აღებულის მცირე ერებისას.

მკითხველი ცხადათ ხედავს, რომ ჩვენ მხოლოდ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების თვალსაზრისით შეეფასეთ დღევანდელი დღის ვითარება. სხვათა მოსაზრებას არ შევხებივართ. ეს ცალ-მხრივობაა. თანახმა ვარ, მაგრამ ეს მე განგებ ჩავიდინე. ჩვენ ვიცით რომ დღეს ჩვენი ცხოვრების გამგებელი, ჩვენი ერის ნების გამომჟღავნებელი და ამსრულებელი არის ჩვენში გაბატონებული პარტია —სოციალ დემოკრატია, ამიტომ მსურს ამ პარტიის უმრავლესობას შევაგნებიო, თუ რა უკულმართათ ტარდება ხოლმე ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მარქსისა და ენგელსის მოძღვრება. ამას თუ გაითვალისწინებს და შეიგნებს სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობა, მაშინ ცხადია, ეს უმრავლესობა ეცდება, დღესვე შესცვალოს პარტიის საქმიანობა და ტაქტიკა. ამ შემთხვევაში და ამასთანავე შეიცვლება ჩვენი ერის, ჩვენი მშრომელი ხალხის საქმიანობაცა და ნებისყოფაც, და მხოლოდ ამ დროს დაიწყება ახალი, მაგრამ სწორი და მართალი გეზი ჩვენი ცხოვრებისა, გატარდება ახალი ხაზი ახალი საქმიანობისა. ამას რომ მივაღწევდე, ამაზე მეტი ჯილდო არც მინდა, არც ვისურვებდი.

ამ განცხადების შემდეგ ნათელია, თუ რატომ არ ვეხები აქ მემარჯვნე ფედერალისტების შეხედულებასა და მისწრაფებას. მემარჯვნე ფედერალისტების პროგრამისა და მსოფლმხედველობის ძირითადი მოტივი ის არის, რომ ყოველ ერამს და დღესა ყოველსა ესენი უნდა აწარმოებდნენ ერთ გარკვეულ გეზს, რომელიც მხოლოდ და მარტოოდენ ხელს უნდა უწყობდეს სოციალური რევოლიუციის გაფაფოვნებას და გაჩაღებას. მაგრამ ნახეთ, თუ რა საკვირველება ხდება ჩვენ თვალისწინ და რაგვარი ფერისცვალება განიცადეს ამ ფედერალისტებმა? დღეს, ამ სოციალური რევოლიუციის დაწყებისა და თავის ჩენისას, ამათ უტიფრათ განაცხადეს, რომ ეს სოციალური რევოლიუცია კი არ არის, არამედ ბურჟუაზიულია, და სწორეთ ამ გეზებით მიმართეს ამათ თვისი ნებისყოფაც. ამ პარტიის მეთაურმა გ. ლასხიშვილმა შარშან რამდენჯერმე თავის სიტყვასა და მოხსენებაში განაცხადა, რომ დღეს არც ობიექტიური, არც სუბიექტიური პირობა არ არის, რომელიც გვეუბნებოდეს, რომ სოციალური რევოლიუციის დასაწყისი ვაწარმოვოთ. ამ განაცხადებით მან მაშინვე ჩაჰკლა თვისი პარტიის ნებისყოფა და ჩაახრჩო ამ პარტიის დამოუკიდებელი და გაბედული მოქმედების სურვილი. შარშანვე „სახალხო საქმის“ ფურცლებზე ალ. მდივანმა გამოაფინა ის უბადრუკი აზრი, რომ სოციალური რევოლიუცია ჯერ ინგლისაც კი არ უწარმოებია, მას სოციალიზმი ჯერაც არ განუხორციელებია, თუმცა ინგლისია ის ქვეყანა, სადაც მრეწველობა ძალზე განვითარებულიაო (ერთი ჰკითხეთ, ეს ვაჟბატონი სოციალ-დემოკრატია. თუ ფედერალისტი?!), ამიტომ სისულელეა ჩვენი მხრით ვიფიქროთ, რომ დღეს სოციალური რევოლიუციის დასაწყისიაო. ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმისთვის. ვისაც გონიერება მახვილი აქვს, გადაჭრით სთქვას, რომ ასეთი ხასიათის განცხადებას შემდეგ მემარჯვნე ფედერალისტთა ტაქტიკა და მოღვაწეობა გაკოტრებულია. ამიტომ ამათზე ლაპარაკი კი ზედმეტია.

მინდა, ეს ჩემი სტატია ნ. გ. ჩერნიშევსკის შემდეგი სიტყვებით დავასრულო: „ამათ (სოციალისტებს) ყოველთვის ასე ეგონებათ, რომ სწორეთ აი ახლა არის ერთი ისეთი, ისტორიაში უმაგალითო შემთხვევა, როცა ერთი დაკვრით ბევრი რამ მოპოვებულა.“ ვინც ამ აზრს იზიარებს ან გაიზიარებს, მას გული ვეღარ გაუგრილდება იმ წარმოდგენით, რომ მას ან სრული მარცხი ან არა სასურველი გამარჯვება მოელის, რადგან ის უკვე შეჩვეულია ასეთ შესაძლებლობას. ამიტომ იგი თვისი ბუნების ძირითადი მოთხოვნილების მიხედვით მოქმედობს და არა იმიტომ, რომ მას ვითომც ბალღივით სწამდეს, რომ ბედი უმტყუნებს ან ჟამთა ვითარება იმედს არ გაუცრუებს“.

აი, ასე სწერდენ, ასე მოძღვრობენ ხოლმე ნამდვილი სოციალისტები!

25 მაისი 1919 წ.

ტიბერიკლი.

რას იტყვიან დაღუპულ კომუნარეგის საფლავიან

ამ ერთი კვირის წინათ ევროპიდან რადიომ გვამცნო, მუშათა კლასისათვის მეტათ აღმაშფოთებელი ფაქტი, საფრანგეთის მუშების ერთმა ნაწილმ ჩაშალა შრომის ფედერაციის მიერ განზრახული საერთო მუშათა გამოსვლა, რომელსაც მეტათ ლამაზი და მშვენიერი მიზანი ქონდა განზრახული, ამ ამბავმა ბევრ გულწრფელ სოციალისტს მოუკლა გული, მუშების ასეთმა საქციელმა კიდევ ერთხელ გაახარეს და გააცინეს ისედაც გამარჯვებული ბურჟუაზია და ამითი მათ შეჰმატეს, დრომოჭმულ კლასს სიძლიერე.

ჩვენ ეს მომხდარი ფაქტი არ აგვაღელვებდა, რომ სხვა ქვეყნის მუშებს ჩაედინათ, რადგან მოღალატე გამცემი იუდები ყველგან ურეკია და არც გასაკვირველი არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ გვაფიქრებს და გვაღელვებს ფრანგი მუშების ასეთი საქციელი, რადგან პირველი ალამი ძმობა-ერდობის ამ მუშებმა ააფრიალეს პარიზის ქუჩებზე და მსოფლიოს ტანჯული კლასი აქედან ელოდა ამაყ გამოძახილს, ახალ ცხოვრების ასაშენებლად. მაგრამ დროებით აღფრთოვანებას მწარე ნაღველი გადაასხა, მათმა ასეთმა გამოსვლამ.

ჩვენში ეს უფრო გმირებს დაბადებს, და სრულებითაც ვერ ჩაკლავს რწმენას დიადი მომავლისას.

მაგრამ ვაი მათ, ვინც ეს ჩაიდინა, რას ეტყვიან ათასობით დაღუპულ კომუნარების საფლავებს, რას ეტყვიან ძმების სისხლით შეღებულ პარიზის ქუჩებს, რას ეტყვიან თავის მოსისხლე მტერს ბურჟუაზიას, რომელმაც დაუნდობლათ ესროლა პირველი მახვილი ფრანგ მუშებს დიდ რევოლიუციაში, რომელმაც არ დაინდო და სამოცდა თერთმეტ წელს სისხლის მორევში ჩაახრჩო საფრანგეთის წითელი მედროშენი. რა პასუხს აძლევენ სხვა ქვეყნის მოძმე მუშებს რომლებმაც თავისი პირადი ბედნიერება ზვარაკად მიაქვთ საერთაშორის ბედნიერებისათვის?!

ამ შავ ლაქას ვერასოდეს ვერ დაივიწყებს მუშათა კლასის ისტორია, ეს მუდამ ენახსოვრება ამ კლასს. და იმ სახელს, რომელიც უწოდა ზინოვიევმა მათ ვერავინ ვერ წაშლის ესენი მუდამ „სოციალ-გამცემლების“ სახელით იქნებიან ცნობილი მუშათა კლასის ხსოვნაში, ფრანგ კომუნარების წმინდა საფლავს კი ტალახიან ფეხებით გადაუარეს და ამას არ აპატიებს მათ აჩრდილი დაღუპულ კომუნარების და არც ის ხალხი, რომელიც სასტიკ ბრძოლას აწარმოებს დღეს მომავალ შესაქმნელად.

შავბლუზიანი.

ურთიერთმორის ჰასუხისმგებლობა და სოლიდარობა მუშათა კლასის ბრძოლაში*)

„კმაყოფილება
ყველასათვის“.
(ბ. ნეტლაუდნ)

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ერთი ნაწილი კაცობრიობისა—მტაცებელ კაც-მხეცთა ორგანიზაცია—სახელმწიფო აწარმოებს ანტისოციალურ შრომას. სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს კრებელს უშრომელთა, სისხლის მწოველ პარაზიტთა ჯოგს სახელმწიფო—ხრო მგლებისა, სახელმწიფო—ბუდე შხამიან გველებისა, სახელმწიფო, რომელიც ნათელი სურათია ბოროტებისა, სოციალურ-პოლიტიკურ უთანასწორობისა, სახელმწიფო, რომელიც სხვა არ არის-რა გარდა განხორციელება ძალმომრეობისა, იძულებითი ორგანიზაციისა, პოლიტიკურ და ეკონომიურ ბატონთა პრინციპებისა, ძალით ითვისებს ინტერნაციონალურ მწარმოებელთა მიერ შექმნილ საკაცობრიო სიმდიდრეს.

ჭეშმარიტება მოითხოვს—ყველგან და ყოველთვის ვიმსჯელოთ მიუდგომლათ, ობიექტიურათ, თუ კი გვინდა, რომ სიმართლის სხივი ბოროტთა სამეფოს მფლობელთ აბრმავებდეს და მონებს და ტანჯულ მაშვრალთ სიცოცხლის გზას უნათებდეს.

თუ, მაგალითად, ჩვენ გადავავლებთ თვალს არსებულ ცხოვრების მრავალფეროვან სფეროებს, თუ ჩვენ ღრმად დაუკვირდებით თვით საზოგადოებას და მის წარმოებას აგრეთვე თუ შევიჭრებით ინდუსტრიის სხვადასხვა დარგებში: ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში, სამიწადმომქმედო, სარკინისგზო და სხვა მრავალ დარგებში, ჩვენ აღმოვაჩენთ კიდევ უფრო დიდ ნაწილს საზოგადოებისას რომელნიც ეწევიან ისეთ შრომას, წარმოებას, მრეწველობას, ხელოსნობას, რაიც ეწინააღმდეგება ცხოვრების ძირითად გარდაქმნას—სოციალურ ტრანსფორმაციას.

აქ მხედველობაში მყავს ის მრავალი რიცხვი მუშებისა, რომელნიც აშენებენ ნესტიან სარდაფებს; ბნელ ქოხებს, ქსოვენ უვარგის ფართლეულობას, ამზადებენ ცუდ ტანსაცმელებს, აკეთებენ მყრალ და ბინძურ სასმელ-საჭმელებს და სხვა მრავალ უვარგის, უგლახეს და შავნებელ საქონელს, პროდუქტებს, ისევ მუშების სიცოცხლის დასასამარებლად. ცხადია ასეთი შრომა ზრდი, კაპიტალისტების ქონებას და აძლიერებს ექსპლოტაციას, ამავე დროს თვით მუშათა კლასი მსგვერპლად ეწირება მას.

კაპიტალისტები და საზოგადოთ ბურჟუაზია არ არის დაინტერესებული მიაწოდოს საზოგადოებას კარგი და საღი ნაწარმოები და პროდუქტები. მათი პრინციპი, რომელიც მხოლოდ პირადი ინტერესების ნაყოფია, გამომხატველია, არის კაპიტალის გაორკეცება, გაათკეცება, გაასკეცება და დასრულებლივ მისი ზრდა-კონცეტარაცია.

იარაღი მათი ამ შემთხვევაში არის ყოველივე ის, რაც კი ხელს შეუწყობს მათ მიზნების განხორციელებას; ფული, მხეცის გული, ეშმაკის სული, მლიქვნელობა, გაიძაერობა, უზნეობა, გარყვნილება, მოტყვილება, შანტაჟი, აფერისტობა, რომელთაც თან მოსდევს, ფალსიფიკაცია ნაწარმოებისა წარმოების ყოველივე დარგში. ცუდი მასალებიდან უვარგისი საქონლის დამზადება, ძველი დამპალი ნახმარი ქონების გაფერვა-გადაკეთება და ახლად გამომზეურება, ერთი სიტყვით ყოველივე ისეთი ზომები, რომელიც მთელი მუშათა მწარმოებელთა კლასის გონებრივ შემოქმედებას აჩლუნგებს, კლავს თვითმოქმედების ინსტიქტს, ასუსტებს და აქრობს სხეულთა ორგანოების ენერგიას და ინტესივობას, ბადებს ათასგვარ სნეულებას და ქვეყნად ატმოსფერო იქმნება სიცოცხლის მომწამვლელ ბაცილებით.

და მართლაც ვინ აშენებს ნესტიან სარდაფებს? ვინ უცვლის ბოძებს დამპალ აშმორებულ სუნით მოცულ ქოხებს? ვინ შეაკეთებს ამ სამარცხვინო ვირთხების ხვრელებს, სადაც ორი მესამედი კაცობრიობისა ცოცხლად ბნელ მიწის სამარეში არის დამარხული? ვინ ამზადებს ცუდ მასალებიდან საქონელს? ვინ ამზადებს მყრალ სასმელ-საჭმელებს? ვინ უწერს კუჭის ტკივილის წამალს ფილტვების მოსარჩენად ან და აძლევს ავადმყოფს ხინის მაგივრად სტრიხნინას? ვინ ასწავლის მოზარდ თაობას კათოლიკურ ინკვიზიციის კანონებს? ვინ უნერგავს გულში თანამედროვე სკოლებში მოზარდ თაობას მორჩილებას კანონებისადმი და ბატონთა ამ ქვეყნისადმი? ვინ რყვნის მოზარდთა ბუნებრივ ვონებას და ჭეშმარიტ მეცნიერების მაგივრად ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიულ დახავსებულ შეგნებით მოსავს მის მსოფლმხედველობას? და ბოლოს ვინ არიან ისინი ვინც ყოველად უვარგის საქონელს და პროდუქტებს თავზე ახვევს მუშებს ყოველივე ხერხით, პირდაპირ მოტყვილებით, მოჩვენებით, რათა ხელიდან განიშორონ და გაასაღონ ეს ფალშივი ნაწარმოები? დიახ, ყოველივე ეს ხდება კარგად შეგნებულ და შეკავშირებულ ტეხნიკებისაგან. ფეიქრებისაგან, ექიმებისაგან, ოფიციანტებისაგან, მასწავლებლებისაგან და სხვადასხვა გვარ ხელოსნებისაგან.

იანეთელი პროლეტარი.

*) გაგრძელება იხ. „ახ. ნაკ. № 34.

რად არ გჯერა?!

ჩემო გიჟო რად არ გჯერა?
რომ გავლენას ცოტას მაინც
შენ ვერ ახდენ ჩემზედ ვერა!..

**

შენმა ტრფობა—სიყვარულმა,
გული ველარ ამიძგერა,
მაგრამ მაინც შენ გეკუთვნის
მშვენიერო ჟგ სიმღერა...

**

მინდა შენთან წამით დავყო,
თუმც მომწყინდა შენი მზერა.
გაგართო და მოგალხინო,
და გასმინო ჩემი დამწვარ გულის
ღღერა!..

**

ჩემო გიჟო კიდევ მაინც არ გჯერა?
რომ გავლენას ცოტას მაინც
შენ ვერ ახდენ ჩემზედ ვერა?..

Primus.

1 აგვისტო
ქ. თფილისი.

საქართველოს რეოლუციონერ სოციალ-დემოკრატიულ მაშვრალთა კავშირის პროგრამის ზოგადი დებულებანი.

მოკლე განხილვა მთავარი მუხლებისა.

6. სოციალური რევოლიუცია.

განვიხილეთ რა არსებულ წესყობილების საშინელება და სიდუხჭირენი, ჩვენთვის აშკარად გახდა, რომ დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობას ძირითადი გარდაქმნა ესაჭიროება. ჩვენ იმაშიაც ღრმად დავრწმუნდით, რომ იმ საშინელებას და უსამართლობას, იმ ჩაგვრას და ყვლეფას, რომელიც ამდენი საუკუნეა მძიმე ლოდად აწევს მაშვრალ კაცობრიობას. ვერავითარი რეფორმა, ვერავითარი პალიატივი ანუ ნაწილობითი გაუმჯობესება, ვერ მოსპობს და ვერ გარდაჰქმნის არსებულ წესწყობილებას იმდენათ, რომ მას შეეძლოს თანამედროვე კაცობრიობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაშასადამე, რევოლიუციაა ამისთვის საჭირო და აუცილებელიც.

რევოლიუცია აუცილებელია, რადგან დიდი უმრავლესობა კაცობრიობისა, მაშვრალი ხალხი, თავის უსაზღვრო შრომით ჰქმნის უთვალავ სიმდიდრეს და ბედნიერ ცხოერების სახსრებს და პირობებს, მაგრამ მათ პატარა უმცირესობა დაჰპატრონებია უზურპაციის უფლებით.

რევოლიუცია, რადგან წარმოებაში. ურთიერთობაში, ზნეობაში და ცხოვრებაში უწესოება არსებობს.

რევოლიუცია აუცილებელია, რადგან ყოველი არსება სიცოცხლეს ესწრაფვის და უმცირესობა კი დაჰპატრონებია ცხოვრების საშუალებებს და მით ბატონ-პატრონი გამხდარა სიკვდილ-სიცოცხლისაც.

რევოლიუცია აუცილებელია, რადგან ეს უმცირესობა ანტისოციალური ელემენტია, რომლის ნორმალური არსებობის პირობა ეწინააღმდეგება კაცობრიობის ცხრა მეათედის ნორმალურ არსებობის პირობას.

რევოლიუცია აუცილებელია, რადგან კაპიტალისტური წესწყობილების არსებობა—პროლეტარიატის გადაგვარება-მოსპობას უდრის. დღეს დიდი მასსა მუშათა კლასისა ამ აზრით იმსჭვალება, რაც ბურჟუაზიამ და

სახელმწიფომ ვერავითარი რეპრესიებით ვერ მოსპეს.

ერთმა საერთო გაჭირვებმა, და ერთმა საერთო მისწრაფებმა, ერთ საერთო დროშის ქვეშ მოუყარა თავი დღემდის დაქსაქსულ პროლეტარიატს და მათი ბრძოლა რომელსაც საუკუნოებით ეწოდნენ კერძო საკუთრების წინააღმდეგ, დღეს მოწესრიგდა და ორგანიული გახდა. ამას დაერთო აგრეთვე თანამედროვე საზოგადოების ობიექტიურ პირობების მომწიფებაც. განვითარებულმა ტეხნიკამ შრომა ერთი ორად გაადვილა და გაანაყოფიერა; მწარმოებელთა ენერგიის და იარაღების რაციონალურ მოხმარებით შესაძლო გახდა ასჯერ მეტის შექმნა და ასჯერ მეტი კაცობრიობის დაკმაყოფილება. ყველა მხარე დღეს წარმოების მხრივ იმდენად გაძლიერდა, რომ სრულის კმაყოფილებით დაარჩენდა ყველა თავის წევრს, თუ შესწყდებოდა ის უმსგავსო ხარჯვა ენერგიისა, უმსგავსო ფუფუნება „ძლიერთა ამა ქვეყნისა“, უმსგავსო უსაქმობა სახელმწიფოსა და კერძო საკუთრების მიერ შექმნილი ბიუროკრატიისა და სამხედრო არმიათა.

ამასვე ხელს უწყობს აგრეთვე—თანამედროვე მეცნიერება,—რომელიც უკვე ცას ასწვდა და დედამიწას გულ-ღვიძლში ჩახედა!

ადამიანი თავის ნდომით, რომელიც მუშავდება სუბიექტის ანუ ინდივიდის და ობიექტის—წრის ურთიერთობაში, ყოველ თავის დაწესებულებას უსახავს ბოლო მიზანს. აქ, შეგნებული აქტი და მისწრაფება დიდ როლს თამაშობს. კაპიტალისტურ წესწყობილების დანგრევას მარტო ბუნებრივი პროცესისაგან არ უნდა გამოველოდეთ. კლასი თავის ნებით არასოდეს არ იტყვის უარს თავის პრივილეგიებზე, მას ეს ძალით უნდა ჩამოერთვას, კლასობრივი დაწესებულებაც თავის ნებით არ მოისპობა,—ისიც ძალით უნდა იყვეს დანგრეული და ამით გზა გაეკაფოს ბრწყინვალე მომავალს.

მაშ რაკი რევოლიუციის ობიექტიური პირობები არსებობენ, რაკი მიზანი ამ რევოლიუციისა—თანასწორობა და თავისუფლება—წარმოების და ტეხნიკის მვრივ ყოვლად განსახორციელებელია, ჩვენ იმ დასკვნამდი მივდივართ რომ რევოლიუცია აუცილებელი და საჭიროა. მხოლოდ ვინაიდან მისი მშვიდობიანად მოხდენა მოუხერხებელია, და იგი აუცილებლად ბრძოლას საჭიროებს, პროლეტარიატიც, რომელიც ფაქტიურად შემოქმედია სოციალიზმის განხორციელვბის პირობებისა, მიხვდა რა ამას, დიდი ხანია შეუდგა მზადებას. დღეს მუშათა შორის ისპობა მიზეზი რღვევისა და გაუღანლობისა: ერთობა მათის ინტერესებისა მათთვის მატერიალურად საგრძნობი ხდება და შეერთებულნი ერთის გაჭირვებით, ერთ ულმობელი ბატონის მძიმე უღლის ქვეშ, ისინი ერთდებიან ერთ კლასიურ კავშირში, რომლის უსრულესი გამოხატულება მათი პროფესიონალური სინდიკატებია და მათი ფედერაციები. ასეთი მებრძოლი და აღმზრდელი ორგანიზაციები მრავლად ევლინება დღეს მთელი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს და გაერთიანებული შრომა გამოდის მთელი კაპიტალის სამეფოს წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად მზადდება სუბიექტიური პირობებიც კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის განხორციელებისა. საერთო გაფიცვა, რომელიც ჩიკაგოს წამებულთა სისხლათ არის კურთხეული, ხდება ლოზუნგდ მებრძოლი პროლეტარიატისა. საერთო გაფიცვა—ძირიანფესვიანად შემრყევია კაპიტალისტური სამეფოსი, დეზორგანიზატორია მის დამცველ ძალებისა, გზის გამხსნელი, გამომწვევი და დასაწყისია სოციალური რევოლიუციისა, რომელიც ორი მომენტით დახასიათდება და გამოიხატება.

1) **დანგრევა სახელმწიფოსი ეგზ მისი ატრიბუტებით და ექსპროპრიაცია კაპიტალისტთა.** ეს ძალადობის აქტი იქნება, რომელიც გაბედულსა და ცხარე ბრძოლაში გამოიხატება.

2) **დამყარება ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით ახალი ცხოვრების ფორმებისა.** აქ ძალა მხოლოდ მაშინ გახდება საჭირო, თუ ვისგანმე რესტავრაციის ცდა დაიწყო. მუშათა კლასმა სოციალურ რევოლიუციის ბრძოლაში უნდა წინ წაიმძღვაროს შემდეგი დევიზი:

მოსპობა შიმშილობისა, დაჩაგრულობის სამეფოსი და მის ნანგრევებზე აგება თავისუფლების და საერთო კეთილდღეობისა“. მან ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს წარსული რევოლიუციების გაკვეთილები და თავის ხელით ყელი არ გამოიჭრას მით, რომ რაიმე დიქტატურა არ დააწესოს. არც ერთი წამითაც არ უნდა ასცდეს თავის მიზანს—**სახელმწიფოს ეოველ დაწესებულებათა დანგრევას და კაპიტალისტთა ექსპროპრიაციას.** არავის უნდა გადასცეს თავისი სვებედის მოწყობის საქმე, არამედ თვითონვე უნდა **უზრუნველყოს თავისი თავი** და **რევოლიუციის განგრძობა,** როცა შესაძლებელია მხოლოდ **საწარმო** იარაღების და საუკუნოებათა განმავლობაში მაშვრალ ხალხის სისხლითა და ოფლით დამზადებულ სიმდიდრის **საერთო კუთვნილებად გარდაქმნით.** რევოლიუციას მაშინ დაიფასებს და გაამაგრებს ხალხი, როცა იგი მაშინ თავის ინტერესების განხორციელებას დაინახავს.

ის რევოლიუცია, რომელიც სულ რამდენიმე დღის განმავლობაში ამახვერ მოახერხებს, დაკარგულია.

მუშათა სინდიკატები სოფლისა და ქალაქისა—**უნდა გახდნენ** იმ **ცენტრებად,** სადაც **თავს მოიყრის საზოგადოებრივი** სამდიდრე. ისინივე შეთანხმებით **უნდა** შეუდგნენ აგრეთვე **გაჩაღებას წარმოებისას** და **ცხოვრების** მოწესრიგებას **დამყარებას.**

თუ კი მუშათა კლასი ასე არ მოიქცა და მან „დეპუტატობია-კენჭობიას“ მიჰყო ხელი, ყველაფერი დაკარგული შეიქნება, ვინაიდან ერთი ბატონი თუ წავა მეორე მოვა და მით **ოაჩაგრული** და **მონა** ისევ დარჩება.

რამდენადაც სოციალური რევოლიუციის მოლოდინი მუშათა კლას იმედებს და სასიცოცხლე ბრძოლის იმედებს უღვიძებს ვულში მაშვრალ ხალხს, იმდენად ის შიშის ჟრაუნტელსა ჰგვრის ბურჟუაზიას, რომელიც მეტის აღტაცებით მიმართავს ერთად ერთ ნუგეშს სახელმწიფოს, რომელიც მთელის თავის ძალღონით იცავს მის არსებას.

მაშ ასე. სოციალური რევოლიუცია სახელმწიფოს სრული დანგრევით დაიწყობა, რადგანიც მან, როგორც სრული თავისუფლების იარაღმა, **თანამედროვე მონურ ეკონომიურ ურთიერთობასთან ერთად, თანამედროვე მონური პოლიტიკური ურთიერთობაც უნდა დაამხოს,,** რათა შესაძლებელი გახდეს **თვისუფალ ეკონომიურ ურთიერთობასთა ერთად თავისუფალ ადამიანთა თანხისუფლების ხიდაგზე სრული თავისუფლებითი ურთიერთობა.**

———

მილიციიდან სტუდენტების გამოწვევის შესახებ.

ამ რამდენიმე კვირის წინათ, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობას მსჯელობა ქონდა სხვადასხვა საკითხების შესახებ და სხვა საკითხებთა შორის წამოყენებული იყო გასარჩევათ საკითხი მილიციიდან სტუდენტობის გამოწვევისა და ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დაადგინეს: „სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა დარწმუნებულია, რომ ადმინისტრაციაში სამსახური შეუფერებელი და მავნებელია საქართველოს ნორჩი სტუდენტობისათვის და საჭიროთ სცნობს, რათა ისინი დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქმნან ადმინისტრატიულ დაწესებულებიდან“.

საკითხი, როგორც ხედავთ, დასმული სტუდენტთა კავშირის მიერ მეტის მეტად საინტერესო და დროულია, მაგრამ გადაწყვეტილება გამოტანილი ამ საკითხის შესახებ ჩვენის აზრით სრულებით ვერ ამოსწურავს საკითხის სასურველათ გადაჭრას და დაგვირგვინებას; ვინაიდან ყოველ გადაწყვეტილებას, რომელიც შემდეგში სახელმძღვანელოთ და აღსასრულებლად უნდა წარსდგეს ამა თუ იმ საზოგადოების ნაწილის წინაშე, უსათუოდ დიდი დაკვირვება და საკითხის ყოველგვარი გაშუქება უნდა ახასიათებდეს. ამ შემთხვევაში კი, ფრიად სერიოზულ სიკითხის შესახებ ვერ არის გამოტანილი ისეთი თანდათანობითი გადაწყვეტილება, როგორიც საჭირო და აუცილებელი იყო, ჩვენ კი გვაფიქრებს ეს გარემოება და ვერ ვრწმუნდებით იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება კანონათ იქცეს და თავის ლოგიკურ დასკვნამდე მივიდეს, ამისათვისაც განვიზრახეთ ორიოდე სიტყვა ჩვენც გვეთქვა ამ საკითხის შესახებ.

საქმე იმაში გახლავთ ბ-ნებო, რომ როდესაც ჩვენ გვსურს, რომ ამა თუ იმ დადგენილებამ, რომელიც ჩვენს მიერ იქნება შემუშავებული, ცხოვრებაში შესაფერი განხორციელება მიიღოს ამისათვის საჭიროა გადავლახოთ თუ სრულებით არა ნახევრათ მაინც ის დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლის და შეუძლოთ ხდის საკითხის განხორციელებას იმ სახით რა სახითაც ჩვენ ეს გვაქვს წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში კი, როდესაც ჩვენ სტუდენტთა კავშირის რეზოლიუციასთან გვაქვს საქმე, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ სიკითხი თავისუფალი იყოს დაბრკოლებებისაგან და მისი განხორციელება უზრუნველყოფილი, რისთვისაც სიტყვები სიტყვებათ დარჩება და რეზოლიუცია კი ჰაერში გამოკიდებული.

ხოლო რომ ეს ასე არ მოხდეს და საკითხის სისრულეში მოუყვანლობა კვლავ არ გვაფიქრებდეს და გვაწუხებდეს, ამისათვის საჭიროა საქმე შორიდან დავიწყოთ. ცოტა სიძნელეს ვნახავთ, მაგრამ სიძნელის გადალახვის შემდეგ მიზანს მივახწევთ და გამარჯვებული გამოვალთ.

მართლაც და ზნეობრივათ თუ ადამიანი სპეტაკი და უმწიკვლო არ არის, მას ბევრი არაფერი მოეთხოვება. დღევანდელი პირობები კი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეა მოწყობილი, რომ რკინის ნების უნდა იყვე ადამიანი, რომ პირველი სისპეტაკე შეგრჩეს და არ გახრწნე.

ეკონომიურმა პირობებმა ბევრს ადამიანს ააღებია ზნეობაზე ხელი. საზიზღარი სპეკულიაცია და მექრთამეობა ჩვეულებრივ მოვლენათ იქცა. პირის იანი ძალიან გაუსქელდა ბევრს და სიწითლეს იშვიათად თუ შეამჩნევთ ვისმეს სახეს, მაგრამ ჩვენთვის კი სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ასეთ საზიზღრობის მონაწილენი ზოგი სტუდენტობაც არის, ეს გარემოება კი გვაფიქრებს, რომ ასეთ ატმოსფერაში აღზდილმა ახალგაზდობამ ბევრი რამ კარგი მოუტანოს სამშობლოს აყვავებას. და ეშმარიტათ სტუდენტთა კავშირის მოვალეობაა ამ საკითხზე იფიქროს და ზნეობრივათ აამაღლოს სტუდენტობა. იგი ასეც მოიქცა, მაგრამ ჩვენის აზრით ჯერ კიდევ სანამ გადაწყვეტილებას გამოიტანდა აუცილებელი იყო შეეკრიბა საჭირო ცნობები, რომ მით ეხელმძღვანელებინა შემდეგში.

განსაკუთრებით აუცილებელია შემდეგი ცნობები სტუდენტობის ცხოვრების შესახებ:

ა) რამდენი სტუდენტი ირიცხება ამ ჟამათ ქართულ უნივერსიტეტში?

ბ) საერთო სტუდენტობისაგან, რამდენია ისეთნი, რომ თავისი საკუთარი ოჯახის ფულით რჩება?

გ) სტუდენტობის რა რიცხვი იმყოფება სამსახურში და ან რა სამსახურში რამდენი?

დ) არიან თუ არა ისეთი პირები სტუდენტობაში, რომლებიც სამსახურში არ ირიცხებიან და სპეკულიაციით რჩებიან?

ე) რამდენი სტუდენტი მოიპოვება ისეთი, რომ სამსახურს ეწევა, ხოლო თავის რჩენა კი შეუძლია დამოუკიდებლათ სამსახურისა—ოჯახისაგან?

ყველა ამ კითხვების შესახებ აუცილებლათ სტუდენტთა კავშირის გამგეობამ უნდა საჭირო ცნობები შეკრიბოს და როდესაც ყოველივე ამას გაიგებს შემდეგ კი საფუძვლიანი იქნება მოიქცეს ისე როგორც საჭირო იქნება.

მაშინ კი როდესაც ჩვენ გვექნება ცნობა ულარიბეს სტუდენტობის შესახებ, გვეცოდინება დაწვრილებითი რიცხვი თუ ვის რამდენი დახმარება ესაჭიროება, ჩვენ შეგვიძლია მაშინ აღვძრათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მან ყურადღება მიაქციოს სტუდენტობის გაჭირვებულ და უსახსრო მდგომარეობას. მოგვცეს შესაფერი შენობა ღარიბ სტუდენტებს მოსათავსებლათ, მიიღოს ყოველი ზომა, რომ სტუდენტობა დაკმაყოფილებულ იქნენ სურსათით, რაც შეიძლება ძალიან იაფ და ხელსაყრელ ფასებში, თუ ვინდ ამ შემთხვევაში სახელმწიფომ კიდეც იზარალოს. ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა და აღასრულოს უნდა კიდეც. მით უმეტეს თუ მათ მოეპოვებათ იმდენი თანხა, რომ საზღვარგარეთ არჩინონ ამ სიძვირის დროს 80—100 სტუდენტი, მაშინ შინ სტუდენტობა შიმშილით არ უნდა დაიხოცონ.

შემდეგ ყოველივე ასეთი ნაბიჯების გადადგმისა ჩვენ უფლება გვექნება სტუდენტობა გამოვიწვიოთ ყველა იმ სამსახურიდან, რომლებიც ზნეობრივათ სცემს და რყვნის მის პიროვნებას. პირველათ კი აუცილებელათ ადმინისტრატიული ნაწილი უნდა დავატვალიერეთ სტუდენტობას, რადგან შემინდეთ, რომ იქ მილიციაში უფრო ადრე ეცემა ტალახში ადამიანი. მილიციონერობა და სტუდენტობა არ შეიძლება ორივე ერთ დროს, ჩვენ ეს გვესმის და მომხრეც ვართ ამ მოსაზრებისა.

ჩემი თხოვნა იქნება შეუდგეთ საკითხის ფართოდ გარჩევას და აუცილებლად რეზოლიუცია სისრულეში მოიყვანოთ კიდეც. ზნეობა დიდი საგანძურია ადამიანიზა და ამთავითვე საჭიროა ზომები, რომ სტუდენტობა არ დაეცეს ზნეობით.

ლადიძე.

———

სოფლად

(ზოგადი შთაბეჭდილებანი)

1.

მეტად ცხელი ზაფხული დაგვიდგა. ისეთი პაპანაქებაა, რომ დედამიწას ოშხივარი ღვირთქვით ასდის, მცენარეებს თავი დაუხრიათ საცოდავათ იჭყიტებიან. სასაცილო სანახავია ჩვენი ბაღი შუადღისას, როს ხმელეთი ალისფრად აინთება ალაპლაპდება. ცხუნია მზე მთელი თვისი სიმძაფრით ცეცხლის მორევში აცურავებს, აფარფატებს ყოველივეს, მწველი ისრები გულს უგმირავენ ფოთლებს. სიცოცხლის კოკონზე იფერფლება ნაზი კოკორი. რა სასტიკია მზე! როგორ შეუბრალებლად ბრძანებლობს, ვით ამაყი ფარაონი, ცხელი აღმოსავლეთის, აღარსად მოსჩანს ოდესღაც კეკლუცი მწვანე ხეივანი. მის ნაცვლად სასომხდილი აჩრდილები გელანდებათ თვალწინ. ჩამოხმა საბრალო ფოთლები. დასჭკნა ტურფა ბილილა. ბნელ სამარისაკენ მიეშურება ყვითელი ფენები მაგნოლინასი, როგორ უდროოდ იცრიცება ტურფა მიდამო, გლოვის ძაძით იმოსება მისი ცქრიალა ყოფა, შავად ფერვანდება სიცოცხლის დღეები ყვითელი ზოლებით ვარაყდება მწვანე ხეივანი, საზარი ჭლექის ზმანება დაციაგობს მათ სულში, როგორ სასტიკად მოეპყრა მათ სინამდვილე? ირგვლივ მხოლოდ მწვავე ამაოება მეუფობს. უშინაარსოდ და უნაყოფოდ ნიავდება ისედაც გაღატაკებული, დაჩლუნგებული ცხოვრება, მხოლოდ უსამართლობას და ძალმომრეობას აუსხამთ ფრთები და მძლედ დანავარდობს გახრიოკებულ ცხოვრების უდაბნოში. საშინლების ღმერთა ზეიმობს თვის გამარჯვებას, საზარლად ხარხარებს, დასცინის ადამიანების მიერ შექმნილ მელანხოლიას „სამართლიანობისას“, სარკაზმის გესლს აწვეთებს „ეშმარიტების“ საკურთხეველზე, რომელსაც ხმლებ ამოწვდილი იცავს თანამედროვე ურთიერთობის მიერ შექმნილი უდრეკი „გერკულესები“, მაგრამ ვაი რომ მაინც ქანაობს მათი ძლიერი ნებისყოფა. რყევას განიცდის უძლეველ მკლავი მეტად მშფოთარე და მღელვარეა ხალხის გულისთქმა, რადგან უსამართლობამ „მოსამართლეთა ხელში მაგრა გაიდგა ფესვები, იცრიცება, ითენთება ტურფა ბუნება სიკვდილის შავი ზმანება მტკიცეთ ბოჭავს უხეშ ბრჭყალებში ხალხის გულს. ორგვლივ მონობა, მხოლოდ იქ, სოფლად სდუღს ნორმალური ცხოვრება, მშვიდობიანობის და სათნოების ტაძარია აღმართული, ნუ თუ?!

2.

რა კარგია სოფელი, რაღაც გა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურკვეველ იდუმალებას მოუცავს მისი შინაარსი, მაგრამ მაინც ლაღი, წარმტაცი და მომხიბვლელია სოფელი, ყოველი ტკბილი, ნარნარა მოგონება, წარსულიდან, მასთან შეხამებულ-შეწნულია, სოფელი—ეს ჩვენი ერის, ხალხის მუუდრო ნავთსაყუდარია, იქ მშვიდათ შეფარებულან მგზავრნი, ცხოვრების მძლე ქარიშხალზე ამაყად მებრძოლნი, ნელის ნაბიჯით მიეშურებიან წინ წყვდიადით, ნარეკლით მოცულ ცხოვრების ბილიკებზე, ხალხი ტანჯული, გვემული; ყოველმხრივ შევიწროებულ-შეჯიბრებულნი, მოკლებული ნექტარს სიცოცხლისას. აღზრდილი წამებაში, გამობრძენდილი მრავალი საშინლებით. შეჩვეულნი აწიოკებას, დარბევას, შეურაცხყოფას. მათ არას დროს უგემიათ ტკბილი ტაბლა, ცხრვრების განცდა, მაგრამ მაინც მშვიდათ, წყნარად, არავის ებრძვის, არავის აწუხებს სავალ გზაზე, რომელიც მისთვის ბნელეთია, გამოურკვეველია, არ აციაგებს სინათლის შუქი, წინ არ მიუძღვის ამაყი რაინდი, თავდადებული გმირი, მარტოდ არი მიტოვებული ბრძოლის ველზე. სოფელი—რა საშინელი ყოფას განიცდის ის დღეს! თუმცა მისი სახელით იქედება „ჩვენი“ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოს ბჭეები. მათი დაკოჟებული ხელებით ეგება ფუძე „სამართლიანობას და ჰეშმარიტებას“ საქართველოს რესპუბლიკაში თუმცა ესეც ფრჩხილების ღირსია, რადგან რეს პუბლიკა—ხალხის მმართველობა (საქმე შეურაცხყოფილია ჩვენში) ვინ იცის რას არ სჩადიან უპასუხისმგებლო ნაძირალები სოფლად—ხალხის სახელით, მათი მაღალი მოწოდებით უნებლიეთ მოგაგონდებათ ქ-ნ როლანდის სიტყვები, როცა გამხეცებული პარიზის ბრბოს ეშაფოტზე აყავდათ,—ქალთა უფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი—„ოხ თავისუფლებავ რას არ სჩადიან შენი სახელით“ და მართლაც რო თვალები მოვავლოთ სინამდვილეს, განვსჭვრიტოთ ჩვენი დღევანდელი ყოფა, განსაკუთრებით სოფლის ვითარება, უნებლიეთ გული ბოღმით აგევსება. მწარე სინამდვილის ხატება აგეტუზება თვალწინ. რას არ სჩაოიან ხალხის სახელით და რა გაკეთებულა ხალხის სასარგებლო? გარშემო მხოლოთ ყრუ დუმილით გვიპასუხებს. აღარსაიდან შველა, არ ესმის ხალხს ნამდვილი გულწრფელი, მეგობრული მოწოდება—დარიგება, ვიღაც კუდაბზიკებს უპყრიათ ხელთ ხალხის ბედი, თვით ხალხი კი ძლიერ სინელეს მოუცავს, აღარ სჩანს მათში ნიშან-წყალი ცხოვრებისა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ ფიზიკურ ცხოვრებას), ხალხს თითქოს ეშინია-ეკრძალება „რაღაცას“, ვინ იცის რას ამბობს მათი ჩაფიქრებული დანაოჭებული შუბლი, ვინ იცის რას მეტყველებს მათი გულისთქმა. იქნებ წყევლა-კრულვას უგზავნის სამყაროს, ალბად! მაგრამ აშკარად ვერ გამოუთქვამს ის რაც მათ სიღრმეში მოკალათებულა. ჯერ სძინავს ხალხის მძლე სტიქიას. საღათას ძილს მისცემია, მაგრამ (აკაკის სიტყვით რომ ვსთქვათ) არ მომკვდარა.., საშინელ არარაობას განიცდის დღეს სოფელი. სრული გულგრილობა—ინდიფერენტიზმია გამეფებული. ხალხი გმინავს—ხალხი ტანჯვას განიცდის. დღეს შეჩერებულია მისი მაჯის ცემა:

„არსაიდან ხმა... არსაით ძახილი“.

მაგრამ ყოველივეს დასასრული აქვს. ხალხის მოთმინების ფიალა უკვე აივსო და ის სამარისებური სიჩუმე— დღეს გამეფებული სოფლად მომასწავებელია ძლიერი ქარტეხილის, წინამორბედია დიდი მღელვარების, დაუნდობელია ხალხის სტიქია—დაანგრევს. გააკამტვერებს, ფერფლად აქცევს ყოველივეს. უხეშია მისი მუშტი, მკაცრი, როგორც მოზღვავებული ნიაღვარი წალეკავს—არაფერს დაინდობს, ხალხს დახმარება! სანამ კიდევ დრო არის, სანამ არ აუღია ხელთ ბასრი მახვილი, თორემ შემდეგი მოწოდება, ლამაზი და ფერადი სიტყვები თუ გინდ იმ მაღალი ტრიბუნიდან, რომელიც დედა-ქალაქში აღმართულა- „ხალხის წარმომადგენელთათვის“ მხოლოდ უაზრო და უშინაარსო უკანასკნელი ამოძახილი, მომკვდავის ხრიალი იქმნება. შეუბრალებელია ხალხის სტიქია მათაც მოდრეკს. უკვე მზადდება ასაფეთქებელი მასალა ხალხის გულში შურისძიების ცეცხლი ნელ-ნელა ღვივდება, ახალი იდეები კიანთობენ ხალხის გონებაში. მეტი სიფრთხილე და მორიდება სოფელს.

(შემდეგი იქნება)

ალ. ბარამიძე.

ხალხს მიხედეთ!

(მთავრობის საყურადღებოთ)

ვინ არ უწყის, თუ როგორ მკაფიოთ უხსნიდით ამ რამდენიმე წლის წინად ხალხს კოოპერატიული (საამხანაგო) დუქნების მნიშვნელობას?! ხალხიც, რა თქმა უნდა, სიხარულმა მოიცო და ჩვენსკენ გადმოკინძა, გადმოხარა თავი, მაგრამ სვენ დანაპირები ოდნავაც ვერ დაუკმაყოფილეთ და ჩარჩ-ვაჭრების სასაცილოთ მოგვიხდა საქმე. გუშინ სიხარულით გატაცებული, დღეს რაღაც გამოურკვეველ ოცნებას დაკავშირებია შეუპყრია და. რომელი გზა აირჩიოს აღარ იცის. ეხლა შეიძლება ზოგმა კიდეც კითხვა დამისვას ამის დასასტურებლათ, რაიც სულ ადვილი მოსახერხებელია: ასეთ საზოგადო დაწესებულებაში ისეთ ცხოვრებას ჩამოყალიბულმა, ჩამოშორებულმა პირებმა მოკიდეს ბრჭყალები, რომ მთლათ უკუღმა დაასამარეს ყოველგვარი ამის საქმე. თუ ეს არა გჯერათ, გადაათვალიერეთ: ვინ არის დღეს მოქცეული სათავეში?! სწორეთ ის, რომლებიც ჭირივით სძაგდა ხალხს და ნამდვილ მედგარ ბრძოლას მის წინ აწარმოებდა პრესის და სხვის საშუალებით. ასე გასინჯეთ, რომ ხალხმა ველარ დაახწია თავი ულმობელ ვაჟბატონების ძალ-მომრეობას, რომელიც გამოიხატება მარტო ერთ მათ უკუდო მბრძანებლობაში... თუმცა ძალიან ბევრ ალაგას აღძრეს შუამდგომლობა ამის შესაებ, მმგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ცივუარი მიიღეს და აღვირ-წახსნილ რაინდებს ზეღმეტი სახელი მოუპოვეს და შეასხეს უძლეველი ფრთები ხალხის საძიძგნათ!

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უმწეო მდგომარეობაც, რომელსაც უკანასკნელათ დამონებია ეველ იმედებს მოკლებული ხალხი: აი, აგერ წააწყდიბით, რომ სულ უბრალო კაცი, რასაკვირველია, სოფლის მცხოვრები გარწმუნებს—30,000 მანეთის სიმინდს მოვზიდავ, მხოლოდ ამის ნება კი მომცეს ვისიც ჯერ არს, მაგრამ ყოვლათ შეუძლებელია ამის მოხერხება და სხ...

ხალხი ამის გამო უფრო და უფრო მღელვარებს .. შეიძლება ისიც. რომ ასეთ პირს ვინმემ „პროვაკატორი“ ან და „ხულიგანი“ უწოდოს, მაგრამ ეს სრულებითაც არ შეესამება მის საჯაროთ გამოსვლას მაშინ, როცა დასამტკიცებელ საბუთს ხელში იძლევა, იაქმე არც ესაა კიდევ. საქმე სულ სმვაფრივაა დაყენებული, მაგრამ ვინ რას გაბედავს—იმ წამშივე მისცვივდებიან და აუტმხენ განგაშს, თუ საქმე გამწვავდა, შეიძლება იარაღიც კი იხმაროს მოწინააღმდეგე მხარემ. განა ცოტა იყო შემთსვევა?! სრულებითაც ვერა და ნურც აქვს ამის იმედი მომავალში სათავეში მოქცეულ გოლიათებს. ხალხს გზა ხსნილი უნდა ქონდეს და აი მხოლოდ მაშინ გამოჩნდება თეთრი და შავი; თორემ იმ სამარცხვინო პირობებში, როგორშიაც დღეს იმყოფება ხალხი, ვერავითარ სულიერ საზრდოს ვერ მოიპოვებს!

მარტო ერთი თბილ-თბილი სიტყვები ახლა ვერავის ვერ იხსნის და ყოველივე ცდა ამაო გამოდგება. ცხადია, რომ ამ მიზნისათვის ამორჩეული პირები ბევრს სტყუა და, როდესაც ხალხი მოითხოვს მათ ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრას, მოთხოვნილება აუცილებლათ უნდა გატარდეს, მაგრამ ასე არ ხდება და ნეტავ რათ? ილაჯ გაწყვეტილ ხმლხს ისიც ყოფნის, რაც გაჭირვება განიცადა და იმას, რასაც ხედავს- სრულებითაც არ გამოელოდა. ხალხი ვერ წარმოიდგენეთ ეგზომ იტანჯება ზემოთ ჩამოთვლილი პირების მეოხებით, რომლებიც მათ საქმეს ვითომდა წინ მიუძღვის. დიახ, ამას იწვევს არა კეთილსაიმედო პირების მოურიდებელი ხელის ფათური, რომლებიც კიდევ ბევრს მოიმოქმედებენ. ისიც ცხადია, რომ გარდა უხერხული აწეწილ-დაწეწილი საქმის კიდევ ზედმეტათ გართულებისა ვერავინ გამონახავს.

მიხედეთ ხალხს და მათი სულიერი მოთხოვნილება ყოველი მხრით დააკმაყოფილეთ, თორემ თვითეული უხერხულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი სურსათის უქონლობის მხრივ და რა გზას დაადგეს, რომ სიმშილს თავი დაახწიოს, ალაჰხმა უწყის! მოდუნების დრო სწორეთ აღარ არის და ვნახოთ!..

„ის-ის ნ-ული“.

მუშაობა ცხოვრებიდან.

ქ. ზესტაფონი.

კიდევ არაფერი ეშველა ზესტაფონში წესიერათ აღდგენას დუქნების გაღების და დაკეტის საქმეს და ნოქარ-შეგირდების უზომო მუშაობას. ამას წინადაც გვქონდა აღნიშნული ამავე გაზეთში თუ როგორ გაჭირვებაში იმყოფებიან ნოქარ-შეგირდები და ვთხოვდით ადგილობრივ მთავრობას ყურადღება მიექცია ნოქარ-შეგირდების ასეთ უმწეო მდგომარეობისთვის; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ გაუგებლობით მოუვიდათ თუ მოუნდომელობით ყურადღება არავინ მიაქცია და ეხლა ხელმეორედ ვსთხოვთ ვისგანაც ჯერ არს ყურადღება მიაქციონ და სისრულეში მოიყვანონ 1917 წლის 7 ივნისს გამოცემული წესდების ყოველივე მუხლი და დაცულ იქმნეს ორივე მხრისაგან. დაყოვნების დრო აღარ არის ვინაიდან მდგომარეობის გართულება შეუძლებელია.

„ნოქართაგანი“.

„მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა“ და არა მთავრობისა,

რედაქცია.

ქ. ოზურგეთი,

ოზურგეთში არსებულ სახელოსნო ბანკის გამგეობამ განიზრახა კოოპერატივთა კავშირის გამგეობასთან ერთად აბრეშუმის პარკის შეძენა. წარმოება მოითხოვდა 40—50 მუშას. საპარკეს გამგეობამ ეს საჭირო მუშები დაიქირავა პირადი ინიციატივით მუშათა კავშირის დაუკითხავათ. მუშებს არ აკმაყოფილებდა დღიური ფასი და ამიტომ მოთხოვნილება წარუყენეს ამხანაგობის გამგეობას, ვინაიდან მათ სწამდათ, რომ ისინი სათანადოთ დაიცავდენ მათ კანონიერ მოთხოვნილებას. პირობები მოთხოვნილებისა თვით მუშებმა შეიმუშავეს. მუშათა კავშირის გამგეობამ იმის ნაცვლათ, რომ სადაც ჯერ იყო აღეძრა იქ ამის შესახებ ლაპარაკი ბევრი ცდის შემდეგ, შესცვალა მუშების მიერ შემუშავებული პირობები და მუშები იძულებული გახადა მათი წარმომადგენელის მოქარგული ენის საშუალებით მიეღოთ ახლად შემუშავებული მოთხოვნილება. ამას შემდეგ მუშები უნდობლობით უყურებდა მუშათა კავშირის გემგეობას და ამიტომ ასეთი წინადადება სისცა მათ: „თუ საჭირო იქნება განსაკუთრებული მომრიგებელი კამერის შედგენა ჩვენ უფლება მოგვცეს დავასახელოთ კამერის წევრები ჩვენი მოთხოვნილების სათანადო დაცვის საჭიროებისათვის:“-ო. მუშათა კავშირის გამგეობის წევრები თვითეულათ არც ერთი არ ყოფილა წინააღმდეგი მუშების წინადადებისა, ხოლო ეს კი ცხადია რომ რაღაც მიზეზის გამო მუშების მიერ დასახელებული კამერის წევრი მოხვდა კამერაში. მკითხველს ეს გპრემოება გააკვირვებს და „იკითხავს: რისთვისო? მიზეზი მკაფიო და მარტივია: მუშებმა ისეთი .ირი დაასახელეს, რომელიც არ იყო აღჭურვილი მენშევიკური „დიპლომით“ და მუშათა კავ'ირის გამგეობას, რცმელიც მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკ შესდგებიან, არაფრათ ეპიტნავებოდათ ის თუ ვინ უფრო დაიცავს „მოთხოვნილებას“ მუშათა ინტერესებს, ისინი ცდილობდენ კამერაში მხოლოდ მენშევიკები მომხვდარიყვნენ, აქაც მენშევიკური პროეტექცია გახდა საჭირო. კამერის კრება ოთხჯერ იქნა დანიშნული და გადადებული, ბოკი როგორც იყო შესდგა და საქმის გაკეთების მაგივრად დაიწყესი პტყელ-პტჩელი სიტყვები ხან მუშებისა და ხან კი მწარსოებლების მიმართ. დაიწყო გააფთრებული იერიში მუშების ხელფასის მომატებაზე, და მოწინააღმდეგ მომატებისა ამტკიოებდ მხოშშრალი ფაქტებით, რომ მომატება ხელფასის მუშებისათვის ნიშნავს ხალხში საზოგადოებრივი წარმოების სურვილის ჩახრჩობას. თუმცაღა მისი სიტყვით მოთხოვნილება ხელფასისა რამც თუ მეტია შეიძლება რომ რეალურ პირობების და მიხედვით ცოტაც კი იყოსო. ერთი სიტყვით მათმა თაყვამოდებულმა ანტი-მუშურ ინტერესებ[illegible] [illegible] ინაალ[illegible] [illegible]ლამ, [illegible] [illegible]ბასთან, და შემდეგში გვეცოდინება თუ [illegible] [illegible] შემ. ბოლოს და ბოლოს როგორც ეს მცონარე ინტელიგენციას სჩვევია ერთიმეორეს პირად შეხებაზე გადაიარენ და ერთი სიტყვით ისეთნაირათ საქმის მსვლელობის დროს რა გასაკვირალია რომ მუშების მოთხოვნილება სავსებით ვერ იქნა დაკმაყოფილებული, და ბრწყინვალეთ გაიმარჯვეს მუშებიზ მოთხოვნილების წინააშმდეგ 'გულ-წრფელმა სოციალისტებმა, გაუმარჯოს ასეთ სოციალისტებს მარცხნით და მარვნით.

ეს მუშებისთვი ნიმუშია რომლის წესითაც ისინი მომავსლში იმოქმედებენ, მუშები ყურს უგდებდენ მათ მოქმედებას. ბ. ს. დ. ამით მუშებს უტყუარი საბუთი მისცეს იმისა, რომ მორიგებითი პრინციპი უვარგისია, და უნაყოფო, მხოლოდ პირდაპირი ზე-გავლენეთ შეიძლება მოიპოვონ მუშებმა რაიმე.

სოც.-დემოკრატიულ მოძრაობაში წმინდა მუშურ ორგანიზაციებით არავითარი პირველ-ხარისხოვანი როლი არ უჭირავთ. სოც.-დემოკრატიისათვის აუცკლებელი პირობაა პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ხოლო მეორე ხარისხოვანი კი ეკონომიური ცვლილებაა, მხოლოდ დაწყება და არა განხორციელება. მათი ინტერესების ძარღვათ მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობა ხდება და ამიტომაც ისინი ბ. მენშევიკ-ცენზოვიკები სხვაფრივ მოქცეულიყვნენ. არც კი შეეძლოთ როგორც ზეეით ვსთქვით, მუშები მიხვდენ ბ. მენშევიკების ხრიკებს და აწ აღარ დაუჯერებენ. ისინი მომავალში დამოუკიდებელ მოძრაობას დაიწყებენ და აი ეს ყველა ამავე მაგალითის შემდეგ. გზა ერთია მუშამ თავის ბედი თითონ უნდა გამოჭედოს.

გურული სინდიკალისტი.

ჩვენი პოსტა.

საგურამელ გლეხს, აზრი კარგია თქვენი ლექსის, მხოლოდ დალაგების მხრით არის სუსტი. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ჯარისკაცს ს. ბერიშვილს. შემოიარეთ ჩვენს რედაქციაში.

ჩვენს მხანაგებს

ვინ არ იცის, რომ დღეს ბეჭედითი საქმე მეტად გართულდა და შეუძლებელი ხდება მისი გავრცელება სალსში, ამიტომ ჩვენი რედაქცია კიდევ მოაგონებს მუშა ამხანაგებს, რომ შემლების დაგვარათ დაესმარონ თავის ინტერესების გამომხატველ გაზეთს მატერიალურათ და იდეურად.

რედაქცია.

რედაქტორ-გამომცემელი.
სარედაქციო-კოლეგია

სტამბა ქართულ ბეჭდვითი ამხანაგბის „გოლოვინის ქუჩ., ტელ. 4—73.